

საქართველო

ეროვნული
ნიშნით

საერთოული გაზეთი

შაბათი 9 ოქტომბერი 1999 №194 (967)

ფასი 50 თეთრი

გაჭო პრემიერლიბაზე უარს ამბობს

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე რომ ითამაშოს 1993 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი იტალიაში რჩება

დიდი ქალბატონი



ნანა
ალექსანდრია
50 წლისაა

რაფიანდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები


წარმოგიდგინებ
ლაურეატებს



რაფაელ
ჩიმიშკიანი

გაუპირობება ალბანეთს 9 ოქტომბერი?

მიძლე იანკო ტირანადან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“



ასალბაზრდულ ნაკრებთა მატჩის დამთავრებისთანავე, ფრედ, 0:1 რომ მორჩა, ტირანის „სელმან სტერმასის“ სტადიონზე ალბანეთის ეროვნული გუნდი ქართველებთან მატჩისწინა ვარჯიშს შეუდგა. მწვრთნელმა ასტრიტ ჰაფიზიმ გუნდი ოდნავ დატვირთა, სულ 45 წუთი თუ ავარჯიშა. ყველაზე დიდი ჯაფა მეკარე ფოტო სტრაკოშას დაადგა, მთელი ამ დროის განმავლობაში მოსვენება რომ არ ჰქონია. ჰაფიზის კი პირში წყალი აქვს ჩაგუბებული, სიტყვასაც იმადლება, პრესკონფერენციაზე ლაპარაკი უნდებოდა. მასპინძლებს დღეს ორი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი ვერ დაეხმარებათ, ბუშის და ბელაის ორ-ორი გაფრთხილება აქვთ. ქართველებმა კი ტირანაში ჩამოსვლისთანავე ქალაქის ცენტრში, ყველაზე პრესტიჟულ

სასტუმრო „ტირანა ინტერნეიშენალს“ მიაშურეს. ორი-სამი საათი დაისვენეს და „სელმან სტერმასისკენ“ გასწიეს, მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპა შეგირდები კარგა ხან არბენინა, მერე კვადრაცი გააჩაღებინა და ნაირნაირი კომბინაციების დამუშავება სთხოვა ფეხბურთელებს. აქ ჩამოსულ ქართველთაგან ყველა ჯანმრთელადაა, ფეხი აწუხებს შოთა არველაძესო, მაგრამ იქვე დააყოლეს, თამაშამდე გაუვლისო. ალბანეთ — საქართველოს მატჩის მიმართ ინტერესი თითქმის არავის აქვს, ძალიან გასაკვირი იქნება, „ქემალ სტაფას“ სტადიონი, რომელზეც გუნდს ივარჯიშებს ქართველებმა, სანახევროდ მაინც თუ გაივსება. ბერძნებთან წაგების შემდეგ ალბანელებმა მთლად ხელი ჩაქნიეს ეროვნულ გუნდზე და სტადიონზე

ქმამთა მოზღვავებას არავინ ელის, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის პირდაპირი ტელეეპორტაჟი ალბანური დროით 19 საათზე დაიწყება. ალბანეთის ნაკრები კი, დღევანდელ მატჩს, იმედია, გაათკეცებული ენერგიით ჩაატარებს, ქართველებთან მოგება ხომ ერთადერთი შანსია მათთვის ბოლო ადგილს თავი დაადწიონ. და ერთიც, 1996 წლის 9 ოქტომბერს, შესარჩევი ჯგუფის ბოლო მატჩში ალბანეთის ნაკრები პორტუგალიელებს მასპინძლობდა და 0:3 დამარცხდა. თამაშის დამთავრებისთანავე მასპინძელთა მწვრთნელმა — ნებტუნ ბაიკომ პოსტი ნებით დატოვა. საკითხავი ისღა დარჩა, რა იქნება დღეს, 9 ოქტომბერს? წაგების შემთხვევაში თითქმის დარწმუნებული ვარ, ასტრიტ ჰაფიზიც განაცხადებს: ნაკრებიდან წავედიო.

ომი და მუვიდობა ევროპაში

რატომ ბოლო დღეებში სლაურ ენებზე სიტყვები ომი და მტრობა ითქვა, არაა გამორიცხებული, მეოცე საუკუნის ბოლო, სისხლიანი ათწლეულის რეკორდიც იყოს ომი მოსკოვსა და ომი ზაგრებში. რუსეთის დედაქალაქში ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის IV შესარჩევი ჯგუფის პრინციპული და გადაამწყვეტი მატჩია. ყოფილ უფროს ძმებს ყოფილი უმცროსი ძმები, უკრაინელები სტუმრობენ, ძმებს შორის ურთიერთობა კი ისეთია, მშობლებს, ცოლებს რომ იყვნენ, ნამდვილად არ მოეწონებოდათ. ზორვატიის დედაქალაქში ამავე შეჯიბრების VIII ჯგუფის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაა: დამოუკიდებლობა მოპოვებული და მაინც საბრძოლოდ შემართული ზორვატები თავიანთ რუსებს, იუგოსლავიელებს მასპინძლობენ. ამ სლაურ ცოდვა-ბრალში იმავე ჯგუფების ასევე უმნიშვნელოვანესი შეხვედრები, საფრანგეთი — ისლანდია და მაკედონია — ირლანდია თითქოს ჩაკარგულიც კია. კიდევ ერთი დიდი ინტრიგა სტოკჰოლმშია მოკალათებული. იქ შედეგით უდარდელი ნაკრები ქულაზე მშვიდ პოლონეთს ეთამაშება, ხოლო ყოვლადრეკლამირებული ინგლისი ასე უსუსური აღბათ არასდროს ყოფილა — ტელევიზორთან მიმდებარე სხვათა ხელში ჩაგარდნილ თავის გაყვლულუტებულ ბელს ჩივის.



დაწვრილებით ამ ამბების შესახებ ისლეთ 5, 6, 7 და 8 გვერდებზე

იუგოსლავია — ზორვატიის პირველი მატჩი. იუგოსლავიელი პრედრაგ მიატოვიჩი ზორვატი დარიო სიმჩის (მარჯვნივ) წინააღმდეგ

**მეორე დღე:
არს ვედალი,
არს ლისენზია**

ბირმინგემში მიმდინარე მიუნხენის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე დღე საუკუნო ვერაფერი მოუტანა ქართველ მიუნხენელებს. პირველი დღის მსგავსად, საქართველოს ნაკრებმა ვერც მედალი მოიპოვა და ვერც სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია. სოსო ლიპარტელიანი (81 კგ) პირველივე შეხვედრაში დამარცხდა ირანელ კაზემი სარისანისთან და გამოსვლა ამით დაასრულა. ვია გუგავამ ვერ უნგრელი ჰენდრიკ ჰანზელი დაამარცხა, შემდეგ ბერძენი ილიას იორდანიისი. ამის მერე ქართველმა ფალავანმა წააგო იაპონელ პილდუკო იოშიდასთან. გუგავამ საუკუნო ეტაპზე გააგრძელა ასპარეზობა, მაგრამ იქ პირველსავე შეხვედრაში დამარცხდა ტუნისელ სკანდერ ჰაშიმასთან და შეჯიბრებას გამოეთიშა. გუნდის მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ ბრიტანელი გრემ რენდლი (81 კგ) და იაპონელი პილდუკო იოშიდა (90 კგ).

საქართველო
ნიშნით

საბრძოლო
არქივიდან

...რომ არა ხმელიძე

ტირანა
8 ოქტომბერი
18 საათი
საქართველოს
300 (ტელეფონი 12 000)

ალბანეთი 0:0 საბარტოველი

ახალგაზრდულები

ალბანეთი: მუსტაფა, იმელი, ახმადი, პიზა, დაბლა, ჩოხა (ლაკო 46), ჯაფა (რიზანოლი 77), დევილი (სინა 35), სინა-ნი, კ. დურო, ალბანი

საბარტოველი: ხმელიძე, ქეშელაძე, ჭა-ნოკაძე, საჯაია, ჯ. მუჯირი, ა. სახაძე (ლ. ნოზაძე 46), კვარაცხელია, ალექსიძე, გ. შენგელია, რუხაძე (ლ. ბურდული 28), ლ. მელქაძე (ვ. გაგუა 85)

მაგისტრინები: ალბანი, პიზა, კვარაც-ხელია, ალექსიძე

მსაჯენი: მ. მელქაძე (პოლონეთი)

მიძღვრეს ტირანადან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

ტირანას „დინამო“ ყოფილი სტადიონი, რომელიც ახლა „სელმან სტერიმასის“ სახელს ატარებს, სანახევროდ რა სათქმელია და თითქმის ცარიელი იყო. ტრიბუნაზე მხოლოდ საქართველოს ეროვნული გუნდის წევრები და სტადიონის ახლომხლო მცხოვრები მოსახლეობა მოკალათებულიყო. მატჩის ოქმშიც უფასო დელეგატმა 300 კაცი კი ჩაწერა, მაგრამ ვეჭვობ, მატჩზე დამსწრეთა რაოდენობა ასზე მეტი ყოფილიყო.

ქომაგები არც შემდგომად, თამაში ისეთი უინტერესო და მოსაწყენი გამოდგა, ნამდვილად სჯობდა შინ დარჩენილიყვნენ და ტელევიზორში ახალი ამბებისთვის დაელოთ ყური, ანაც კურჩაში სეირნობაში მოველათ დრო. მთელი 90 წუთის განმავლობაში სულ ოთხი სახიფათო მომენტი ჩავინიშნე.

25-ე წუთზე ალბანელმა სამი ფეხბურთელი შეუტყვის მეტოქის ორ მცველს, თითქოს დამუშავებული კომბინაცია გაითამაშეს, მაგრამ ბოლოს ერთმანეთს ვერ გაუგეს და ქართველებმა სიტუაცია განმუხტეს. ხუთი წუთის შემდეგ შენგელიამ იყრია-ლა, მარჯვენა ფლანგზე რამდენიმე მასპინძელიც გააპაშულა, თუმცა კარის მიმართულებით უსერიოდ დარტყვა და მცველ დეკოლს მოარტყა ბურთი. პირველ ტაიმშიც სულ ეს იყო.

შესვენების შემდეგ ალბანელთა უპირატესობა აშკარა გახლდათ, ოდონდ, მხოლოდ ტერიტორიული, მეტოქის კართან კი სულ ორად-ორი ხიფათი შექმნეს: 61-ე წუთზე სინანა მკერდზე მიიღო ბურთი და შეუტყვებდა დაურტყა მეკარეს, მაგრამ ხმელიძემ იფორდა და ალბანელს არ გაატანინა. მატჩის მიწურულს კი, როცა ჩემს წამოზომზე 90 წუთი უკვე გალეულიც გახლდათ,

ხმელიძემ ყველა გააკვირვა — ალბანის დარტყმულ ბურთს მუშტები შეასხვედრა და... ერთი სიტყვით, რომ არა ხმელიძე, ქართველები წაგებას ნამდვილად ვერ გადაურჩებოდნენ.

სტუმრებმა კი, მანამ შენგელია შექმნიდა იმ ერთადერთ მომენტს, მუსტაფას პირველად 27-ე წუთზე დაურტყეს, მატჩში უდავოდ საუკეთესო ალექსიძემ დაახლოებით 17-20 მეტრიდან მოინდომა გოლის გატანა, თუმცა მეკარეს არ გასჭირვებია მისი დარტყმულის მოგერიება.

ფრე, მგონი რომ ლოგიკური შედეგი იყო. გუშინდელ მატჩში გამარჯვებას არც მასპინძელი იმსახურებდა. მით

უმეტეს, არც სტუმარი. მატჩის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ხურცილაძემ აღნიშნა, რომ არ ელოდა მასპინძელთა ასეთ უნაყოფო თამაშს, მან თბილისური მატჩი გაიხსენა და თქვა, რომ ალბანელებზე გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება ჰქონდა. ხურცილაძემ მასპინძელთაგან თბილისის „დინამოსთვის“ ნაცნობი, „ელაფინას“ ფეხბურთელი სინანი გამოკყო, ბევრ ხიფათს გვიქმნიდა და იქვე დასძინა, ჩვენი ნაკრები ძირითადად 1979-80 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთაგანა დაკომპლექტებული, მხოლოდ ჭანკოტაძე და ალექსიძე არიან დანარჩენებზე უფროსები.

მასპინძელთა მწვრთნელ კამის თქმით კი, მასპინძლებს მოგება შეეძლოთ, თუმცა ფეხბურთელთა თვითნებობამ და არაპროფესიონალიზმმა საბოლოოდ ფრე მოიტანა. თითქმის ყველა ინდივიდუალურად ცდილობდა თამაშს, ასეთი ხერხით კი ქართველებს ვერ დანაგრავო — თქვა კამში.



ჩვენი ჭკუფის გამარჯვებული საბერძნეთის ახალგაზრდული ნაკრები

უპირატესი ახალგაზრდული ჩემპიონატი

I ჯგუფი	III ჯგუფი
ბელარუსი 1:2 იტალია	ფინეთი 2:1 ჩრდ. ირლანდია
0:1 სპინეზი (31), 1:1 რაზუმოვი (41), 1:2 მარჯოტა (90)	1:0 იარი ნიემი (20), 1:1 ფინი (25), 2:1 ტაინიო (69)
II ჯგუფი	VII ჯგუფი
ალბანეთი 0:0 საბარტოველი	აზერბაიჯანი 0:3 სლოვაკეთი
სლოვაკეთი 0:5 საბარტოველი	0:1 ბაგნიჩი (34), 0:2 კისელი (71), 0:3 მესაროსი (90)
0:1 ხუტოსი (10), 0:2 კონსტანტინიძისი (27), 0:3 ხუტოსი (54), 0:4 კარაიანისი (56), 0:5 ხუტოსი (66)	პორტუგალია 2:1 უნგრეთი
ლატვია 2:1 ნორვეგია	0:1 ფერენცი (67), 1:1 მარკო ალმეიდა (72), 2:1 გომეშ ლიშა (74)
1:0 კოლესნიჩენკო (10), 2:0 ბეზუბოვი (84), 2:1 ლანგ (87)	VIII ჯგუფი
საბოლოო ცხრილი	მაკედონია 0:1 ირლანდია
საბარტოველი 10 7 2 1 32:10 23	0:1 როლენდსი (33)
ნორვეგია 10 7 1 2 21:8 22	სერბია 2:2 იზრელანდია
საქართველო 10 2 5 3 11:13 11	0:1 ბოშკოვიჩი (45), 1:1 შოკოტა (46), 2:1 ვრანისი (51), 2:2 ფრანისკოვიჩი (75)
ლატვია 10 2 3 5 11:9 9	IX ჯგუფი
სლოვაკეთი 10 1 5 4 10:19 8	მსტრეთი 0:2 გონსია
იტალია 10 1 4 5 8:21 7	0:1, 0:2 ფერაბატოვიჩი (56, 59)
	ჩინეთი 1:3 ბელარუსი
	0:1 კალაშვილი (10), 0:2 სიმეზისი (45), 0:3 სონი (82), 1:3 დოშვილი (90)

უფილდ იუნაიტედი ბიორბი ქინქლაძის ტირანაში დაზვიარებს

დღეს ბოსკამპა უაიქლება ქინქლაძე და ნემსაძე ქირითადში დააყენოს


არ არის გამორიცხული, დღეს ტირანას „ქემალ სტაფაზე“ საქართველოს ეროვნული ნაკრების ძირითადში ორი უთამაშებელი ფეხბურთელი გამოჩნდეს. გიორგი ქინქლაძე და გიორგი ნემსაძე დღესდღეობით, ფაქტობრივად, უკლებლად არიან დარჩენილნი. პირველი, მართალია, ამსტერდამის „აიაქსში“ ირიცხება, მაგრამ ოფიციალურ შეხვედრაში ბოლოს როდის გავიდა მინდორზე, ძნელი გასახსენებელია. რაც შეეხება გიორგი ნემსაძეს, ნაკრების კაპიტნის უბედობა იტალიის სერია B-დან „რეჯანას“ გავარდნის შემდეგ დაიწყო. სერია C-ში თამაშის უფლება კი მას არ ჰქონდა, რადგან იტალიაში მხოლოდ ნახევარი სეზონი აქვს გატარებული. მას შემდეგ ნემსაძე კლუბის ძიებაშია.

ტირანას მატჩი ორივე ფეხბურთელისთვის დიდი შანსია. „სარბიელის“ მეთვალყურე კარგად მოეხსენება, რომ გიორგი ქინქლაძით ინგლისის პირველი დივიზიონის „შეფილდ იუნაიტედი“ დაინტერესებულია. ამ კლუბის პრეზიდენტის, მაიკ მაკლონანდის საკუთრებაში მყოფი კომპანია „ტექსას გრუპ პოლდინგსი“ „აიაქსს“ 2,5 მილიონ გირვანქას უხდის და შემდეგ ქინქლაძის „იუნაიტედისთვის“ მინათხოვრებას აპირებს. სწორედ ამ მიზნით დაზვიარებს დღეს „შეფილდს“ წარმომადგენლები „ქემალ სტაფაზე“ გიორგი ქინქლაძეს.

ენტოუზიასტთა ლაბაზი სარუხარის

საშხებურიო სკოლა „ირაო I“-ის მოედანზე მიმდინარე მინი-ფეხბურთის ტურნირი დასასრულს მოუხლოვდა. ჩასატარებელი დარჩა მხოლოდ ფინალი, რომელიც ხვალ 21 საათზე დაიწყება. სპორტის ამ სახეობის გულშემატკივარმა, რომელიც ტურნირს არ აკლდა, მრავალი დაძაბული და ლაბაზი მატჩი იხილა მინი-ფეხბურთის ოსტატების თუ მოქმედი პროფესიონალი ფეხბურთელების შესრულებით. ყველივე ამას გულშემატკივარი ტურნირის ორგანიზატორებს „აიეტი TV“-ისა და საფეხბურთო სკოლა „ირაოს“ უნდა უმადლოდეს.

ტირანის შესახებ გავესაუბრეთ „აიეტი TV“-ს დირექტორატის წევრს, ტურნირის ერთ-ერთ ორგანიზატორსა და მონაწილეს ვანო მახარობლიძეს. — ტურნირი 1974 წელს ჩატარებულია გია ზომასურიძის სახელობის თასის გათამაშების 25-ე წლისთავს ეძღვნება. მაშინ ტურნირში მონაწილეობდნენ მინი-ფეხბურთის იმდროინდელი ოსტატები: ზურაბ ანიკაშვილი, თემურ ფინაია, რამაზ ჩხილაძე, გელა გელაშვილი, ნუკრი ღონაძე, ზაზა ბოკერია, ზაზა გომარეთი, ზურაბ მაისურაძე და სხვები. მათ გვერდით თამაშობდნენ შემდგომში ისეთი აღიარებული ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ: დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ კოპალეიშვილი, ლევან მაყაშვილი, ზურაბ წერეთელი და სხვები.



ვანო მახარობლიძე

ჯუბა ჩუხუა დღეს 25 წლის გახდებოდა...

25 წლისა ბევრი ფეხბურთის თამაშს იწყებს, მან კი ადრე დაამთავრა, ძალიან ადრე. ზოგჯერ ყველაფერი გავიწყდება კაცს, არც ის ავისმთქმელი ტრაგედია გახსოვს, რამდენიმე თვის უკან ჭკუკავადის გამზირზე რომ მოხდა და, გგონია, ჯუბა ჩუხუა ისევ ცოცხალია, ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობს და გოლები გააქვს. დარწმუნებულები ვართ, ბევრი ფიქრობს ასე, ძალიან ბევრი.

ჯერ ნორვეგია, მერე სლოვენია... დანარჩენი სულერთია

საქართველოს ეროვნული ნაკრები, დღეს ღამე თავის რიგით მესამე შესარჩევ ციკლს ჩამთავრებს. ევრო 2000-ის შესარჩევი ტურნირი დანარჩენ ორთავან ჩვენს ნაკრებისთვის უარესი შედეგით გამოირჩევა. პირველად ჯგუფში მესამე საფეხურზე გავიდეთ, მომდევნო შესარჩევში საფეხურით ქვემოთ ჩავინაცვლოთ, ახლა კი...

ეროვნულმა გუნდმა თავისი უნიკალურობით თავი ისეთ დღეში ჩაიდლო, რომ მეორე შესარჩევ ჯგუფში მეხუთე ადგილზე გასვლა მაქსიმალურად „კარგი“ შედეგი იქნება. თუმცა ძილის წინ სიზმარი აბა, ვის მოუყოლია, მეხუთეობას ალბანეთი გვეცილებს. წარმოვიდგინოთ, ხალხო, რა დღეში ჩავცვივდით, მეხუთე ადგილს ენატრობთ ექვსგუნდა ჯგუფში და იმასაც ვიღაც გვეცილებს...

სანამ ალბანეთ-საქართველოს დღევანდელი შეხვედრის გარანტირება ვისაუბრებთ, მანამდე ჯგუფში შექმნილ ვითარებას გადავხედოთ, ჯერ ლიდერებზე ვთქვათ, მანამაღლებზე კი ბოლოს...

მაშ ასე, ნორვეგიამ მეორე ჯგუფში პირველობა ვადაზე ადრე გაინაღდა. ნორვეგიელები ბელგია-პოლანდიაში, დანარჩენები...

ნორვეგია ლატვიას ესტუმრა და ისე იმუქრება, არ დაადგებათ ბალტიისპირელებს კარგი დღე. შელახული თავმოყვარეობისა და პრესტიჟის ადვოკატი, ეს არის ნილს იოჰან სემბისა და კომპანიის უპირველესი საფეხურები. ნორვეგია ვერ დაივიწყებდა ლატვიელთა „თავხედობას“. ხალხს თავი მოქონდა, აქაოდა, ბრაზილია ორჯერ ბეჭებზე გაგვიკრავს, ბალტიისპირელებს სასტიკად დაემარცხებოთ. ჩავიდნენ ლატვიელები ქართველის თავკაცობით და სენსაციაც გააგორეს 1:3.

ნილს იოჰან სემბმა ყველა უძლიერესი ვიკინგი შეკრიბა, მხოლოდ ტრავმირებული მანჩესტერელი რონი იონსენი ვერ იახლა და უნდა მოვიგო, დაუბრუნებია. ალბათ მოიგებს კიდევ, ლატვია, თავისი ახალი მწვრთნელის თამაშობით, არ ჩანს სტუმართა მომგები. უკეთეს შემთხვევაში ბალტიისპირელებს ფრეც ძლიერ უნდა გაუხარდეთ. ასეთ შემთხვევაში მათი მესამეობა მთლიანად სლოვენელებთან კარგ გარჯაზე იქნება დამოკიდებული. არადა, მეოთხე ადგილი და მისი ჯანი ლატვიისთვის ესეც დიდი პროგრესია. ვინდაც წააგოს საბერძნეთთან, სლოვენია მაინც პლეი ოფშია. კატანეცის გუნდი ვერაფრით იქნება საუკეთესო მეორეადგილოსანი. სლოვენია დიდი დიდი 20 ქულა მოაგროვოს, ესეც იმ შემთხვევაში, თუ ბერძნებს სტუმრად დაამარცხებენ. დაგროვილი ქულებიდან 10 აუცილებლად ჩამოეჭრება, ოთხი ქართველებთან დაგროვილი და ექვსიც



საქართველო — საბერძნეთი 1:2. თემურ ქეცბაია ბერძენ მცველთა ალყაში

— ალბანელთა ძლიერისთვის. 10 ქულა კი არასაკმარისი მარაგია იმისთვის, ბელგია-პოლანდიაში გადათამაშების გარეშე რომ გაინავარდო.

მიუხედავად იმისა, რომ დასახულ მიზანს მიაღწიეს, სრეკო კატანეცის ბიჭები ათენში მაინც შეეცდებიან, არ წააგონ. სხვა თუ არაფერი, ამით სლოვენელები იმას მაინც დაამტკიცებენ, ჯგუფში მეორეები შემთხვევით რომ არ არიან. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ბერძნებისა ძალიან გამკვირვებია. ვინ დაიჯერებს იმას, რომ მათ ფული უჭირთ, ანაც ევროპული საფეხბურთო გაქანება აკლავთ და სოლიდური მწვრთნელი ამიტომაც ვერ მოიძიეს.

კი ჰყავდათ რუმინული გენერალი ანგელ იორდანესკუ, მაგრამ... ალბათ, ჩვენ დანამდვილებით ვერც ვერასდროს გავიგებთ, რაზე ვერ შეთანხმდნენ

ბერძნები და რუმინელი იორდანესკუს შემდეგ კი ქულები უაზროდ ფანტაზიას და მისდევდნენ ახლა ლატვიელებს კულში. ბერძნები ეცდებიან, დღეს სტუმრებს მოუგონ და ამისთვის ყველა არსებულ ხერხს გამოიყენებენ. არადა სხვა შემთხვევაში ჯგუფში მეოთხეობას უნდა დასჯერდნენ, რაც იქაური ფეხბურთის ჩინოვნიკებს აუცილებლად პასივში ჩათვლებათ, ლატვია ხომ ურთიერთშეხვედრებში ბერძნებთან დადებით ბალანსს ფლობს.

სანამ მეორე ჯგუფის ორ მანჩალაზე რაიმეს ვიტყვოდეთ, მანამ ერთი ვთქვათ — ხომ შეიძლება, ნორვეგიამ რიგში წააგოს და სლოვენისაც იგივე ბედი ეწიოს ათენში? როგორ არა, ბურთი ხომ მრგვალია და სასწაულოც მოხდება. ნორვეგია მაინც იპირველებს, ხოლო სლოვენია მაინც პლეი ოფში მოხვდება.

ალბანეთი — საქართველო. რას მოგვიტანს ეს მატჩი? ბევრსაც არაფერს, ან მორიგ სირცხვილსა და თავისმოკრას, ანაც მეხუთე და მეტად მიუღებელ ადგილს ქვეჯგუფში. ორი უარესობიდან, ცხადია, ნაკლებად უარესი გვერჩივნოს, მაგრამ...

იოჰან ბოსკაშა დაჩეხილი გუნდი ჩაიყვანა ალბანეთში. ტრავმირებულები ხომ აქაც მოისაკლისა, იქ ვინ გამოაკლდება, ერთმა დღემთა უწყის წესისა და რიგის მიხედვით, ეროვნულმა გუნდმა უნდა წააგოს, თუმცა არის რამდენიმე ასპექტი, რომელიც ქართველთა სასარგებლოდ მეტყველებს.

კერძოდ, ალბანელთა ის გუნდი, სადაც შეეხვდით, ყველგან რომ მოუგეთ. დაემარცხებთ თბილისში, თანაც ორჯერ, მალტაშიც კუდით ქვა ვასროლინით, ხოლო ტირანაში, მართალია, სულ

თავზე დაგვამტვრიეს კარის ძელბარისებზე, მაგრამ მაინც წააგეს. შავი კვანძი ასე ეძახიან ალბანეთში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს. და თქმა არ უნდა, სრულიად გრანდიას უფრო წელგამართლები ეთამაშებიან, ვიდრე ქართველებს. უცნაურია არა, სად ვერძანია და სად საქართველო (გერმანია პირველ კალითაშია, ქართველები — მეოთხეში), მაგრამ ფაქტია — ფსიქოლოგიური წინხის ქვეშ იქნებიან ალბანელები, ეს თუ გვიშველის.

არის სხვა გამოსავალი, არ არის გამორიცხული, საქართველოს ნაკრები თავმოყვარეობამაც (თუ რამე შესავსი შერჩენია) შეაწუხოს, მაშინ არწივებმა უნდა წააგონ, თუმცა სჯობს, დღევანდელ ღამეს დაველოდოთ.

მამუბა კვანტალიანი

II ჯგუფი

საქართველო 1:0 ალბანეთი
1:0 ა. არველაძე (66)
საბერძნეთი 2:2 ნორვეგია
0:1 ზამოვიჩი (18), 1:1 მახლასი (55), 2:1 ფრანცესკოსი (58), 2:2 ზამოვიჩი (72)
ნორვეგია 1:3 ლატვია
0:1 პახარსი (11), 1:1 სოლბაკენი (18), 1:2 შტოლცერსი (53), 1:3 ზემლინსკისი (63)
ლატვია 1:0 საქართველო
1:0 შტოლცერსი (3)
სლოვენია 1:2 ნორვეგია
1:0 ზამოვიჩი (24), 1:1 ტა.ფლო (45), 1:2 რეკდალი (80)
საბერძნეთი 3:0 საქართველო
1:0 მახლასი (12), 2:0 ლიბეროპოლოსი (15), 3:0 უზუნდისი (36)
ნორვეგია 2:2 ალბანეთი
0:1 ბუში (37), 0:2 ტარე (52), 1:2 რეკდალი (81), 2:2 ბერგი (87)
სლოვენია 1:0 ლატვია
1:0 უდოვიჩი (86)
ალბანეთი 0:0 საბერძნეთი
საქართველო 1:1 სლოვენია
1:0 ზ. ჯანაშია (43), 1:1 ენავსი (52)
საბერძნეთი 0:2 ნორვეგია
0:1, 0:2 სოლსკიარეი (37, 87)
ლატვია 0:0 საბერძნეთი
საქართველო 1:4 ნორვეგია
0:1 ივერსენი (16), 0:2 ტა. ა. ფლო (27), 0:3 სოლსკიარეი (35), 0:4 ტა. ა. ფლო (38), 1:4 ზ. ჯანაშია (58)
ლატვია 0:0 ალბანეთი
ნორვეგია 1:0 საქართველო
1:0 ივერსენი (3)
ალბანეთი 1:2 ნორვეგია
0:1 ივერსენი (3), 1:1 ტარე (16), 1:2 ტა.ფლო (83)
საქართველო 1:2 საბერძნეთი
1:0 ქეცბაია (54), 1:1 ფრანცესკოსი (86), 1:2 მახლასი (90)
ლატვია 1:2 სლოვენია
1:0 პახარსი (17), 1:1, 1:2 ზამოვიჩი (26, 42)
ალბანეთი 0:1 სლოვენია
0:1 ზამოვიჩი (25)
საბერძნეთი 1:2 ლატვია
0:1 ვერპაკოვსკისი (24), 1:1 ნინიადისი (39), 1:2 ზემლინსკისი (90)
სლოვენია 2:0 ალბანეთი
1:0 ზამოვიჩი (49), 2:0 ოსტერცი (80)
სლოვენია 2:1 საქართველო
1:0 აშიშვილი (48), 1:1 შ. არველაძე (56), 2:1 ზამოვიჩი (80)
ალბანეთი 3:3 ლატვია
0:1 ასტაფიევისი (20), 1:1 ბუში (29), 1:2 ასტაფიევისი (63), 1:3 შტოლცერსი (70), 2:3 ბუში (79), 3:3 მუკა (90)
ნორვეგია 1:0 საბერძნეთი
1:0 ლეონარდსენი (35)
საქართველო 2:2 ლატვია
1:0 შ. არველაძე (29), 2:0 ყაველაშვილი (51), 2:1 ბელიდელისი (61), 2:2 სტეპანოვისი (90)
ნორვეგია 4:0 სლოვენია
1:0 პოფტუნეი (16), 2:0 ივერსენი (18), 3:0 სოლსკიარეი (29), 4:0 ლეონარდსენი (68)
საბერძნეთი 2:0 ალბანეთი
1:0 ცარტასი (1), 2:0 გეორგიადისი (88)

ნორვეგია	9	7	1	1	198	22
სლოვენია	9	5	2	2	12:11	17
ლატვია	9	3	4	2	12:10	13
საბერძნეთი	9	3	3	3	9:8	12
საქართველო	9	1	2	6	7:16	5
ალბანეთი	9	0	4	5	6:12	4
სლოვენია	5	2	1	2	6:9	7 (-3)

9.10 ალბანეთი — საქართველო; სლოვენია — საბერძნეთი; ლატვია — ნორვეგია



საქართველო — ნორვეგია 1:4. კახა კალაძე (№2) და მამუბა წერეთელი (№5) ტორე ანდრე ფლოსთან ბრძოლისას



ლობს. ყველა დარწმუნებულია, რომ მოედანზე ნამდვილი ომი გაიმართება, მე კი მწამს, რომ ნებისმიერი ექსცენსი ჩვენს საწინააღმდეგო როლს ითამაშებს. გამარჯვებას სიცხადე და დისციპლინა მოგვითმის" — დასძინა ბლაჟევიჩი.

როგორც მოგახსენეთ, ხორვატებს ბოზანი დაუშვადო, სამაგიეროდ, ნაკრებს ალენ ბოკშიჩი უბრუნდება და თავდასხმაში დავორ შუკერს უნდა შეუწყვილდეს.

„შუკერს მეურვე უნდა მივუჩინოთ, რათა სიერცე არ დარჩეს. თუ მისი და ბოკშიჩის შეჩერებას შევძლებთ, ჩათვალეთ, რომ საქმის ნახევარი გაკეთებულია" — ეს სიტყვები იუგოსლავიის ნაკრების მცველს გორან ვოროვიჩის ეკუთვნის.

„მწამს, რომ აგრესიული მიდგომით მოწინააღმდეგეს დავამარცხებთ — თავის წილ იმუქრება ბოკშიჩი — თამაში 90 წუთს გრძელდება, ამ დროში კი ერთს აუცილებლად გავიჭნათ.“

იუგოსლავიელთა მწვრთნელი, ვუი-აინ ბოშკოვი 4-4-2 განლაგებით აპირებს თამაშს. მოსაგებად ჩასული ფრეს მაინც მივადრეკვო, ამბობს ცნობილი სპეციალისტი.

ჩვენ ყველა ხალ-ხალამათი გვყავს, მათთვის კი ბოზანი უდიდესი დანაკლისია. პრეტერა მათკოვიჩმა წამრთელობა პრაქტიკულად აღიღინა და ძირითად შემადგენლობაში გვეყოლება.“

თავად მათკოვიჩი კი აცხადებს: „ამავე გუნდების ბელგრადულ მატჩთან შედარებით გაცილებით მშვიდად ვართ. ფსიქოლოგიურ ზეწოლას ხორვატები

განიცდიან, იმიტომ რომ მოგებას მათთვის აქვს სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა. ჩემთვის კი ეს შეხვედრა კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანია, ევროპის ჩემპიონატის ფინალს უდრის.“

საკარაულო შემადგენლობები:
ხორვატები: ლადიჩი, სოლოდ, სიმონი, რ. კოვაჩი, ტუდორი, იანრი, რუკავინა, ასანოვიჩი, სტანიჩი, შუკერი, ბოკშიჩი.
იუგოსლავია: კრალი, მირკოვიჩი, ჯორჯიჩი, ჯუკიჩი, მიხაილოვიჩი, იოკიჩი, დ. სტანკოვიჩი, დრულოვიჩი, სტილიკოვიჩი, მიატოვიჩი, მილოშევიჩი.

ირლანდიელთა მწვრთნელი მიკ მაკარტი ამ დღეებში თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ერთობ დააფასა, კიდევ ორი წლით გაუგრძელა კონტრაქტი და იგივე დღეს ნდობის გამართლებას, მაკედონიის დამარცხებას და ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე გასვლას შეეცდება.

მაკარტი პრობლემების წინაშე დგას. ის, რომ კაპიტანი და მთავარი ნახევარმცველი, როი კინი არ ეყოლებოდა, მწვრთნელმა იმთავითვე იცოდა, მაგრამ ბოლოსანს დაშვებულთა სიას ვუი-აინ მაკატორი და ენდი თაუნსენდი შეემატნენ.

მაკედონიელებს მართალია ამ თამაშში თავმოყვარეობის მეტი არაერთი აქვთ დასაკმაყოფილებელი, მაგრამ თავმოყვარეობა სერიოზული საქმე განლაგება და ამიტომაც ამბობს მცველი მილან სტილიანოვიჩი, ირლანდიელებს იოტისოდენას არაფერს დაეკუთმობთ.

„მაკედონია ვერავის დაეხმარება და



ჩეხი ირეი ნემეცი (№7) შოტლანდიელ ალან ჯონსტონს გაუბრძის. მათი გუნდებისთვის ბოლო ტური მხოლოდ ფორმალობაა

ვერავის უმტრობს. სამივე გუნდს, რომელსაც შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი აქვს, კეთილი ენება და აქამდე გაუნაღლებინა ადგილი ფინალურ სტადიაზე. ჩვენ კი მხოლოდ ერთი სურვილი გვაქვს, გულშემატკივარს საიმოვნება მივანიჭოთ. და მაინც, რაც შეეხება გულშემატკივრობას, მე და ჩემი თანაგუნდელები იუგოსლავიას ვუჭერთ მხარს. ვვინდა, რომ ზაგრებში ჩატა-

რებული თამაშის შედეგის მიუხედავად, ეს გუნდი პლეი ოფში მოხვდეს.“

IX ჯგუფი

აქ ყველაფერი გარკვეულია. ჩეხეთს პირველობას ვერავინ შეეცილება, ისევე როგორც შოტლანდიას მეორე ადგილს. თანაც სქოთები ნებისმიერ შემთხვევაში პლეი ოფში ხვდებიან. ასე რომ, მეცხრე ჯგუფში ბოლო ტური მხოლოდ ფორმალობაა.

ევრო 2000-ის შოტლანდიის ნაკრების უმრავლესობა დღეს გამაზრთება და გაორვევია ის საუკეთესო მეორეადგილოსანნი, რომელიც ვაკუფში გამარჯვებულ გუნდებთან ერთად პირდაპირ მოიპოვებს ბელგია-შოტლანდიის საგზურს.

ბოლო ტურის წინ უპირატესობა იტალიის ნაკრებს გააჩნია. „სკუადრა აძურა“ დღეს მინსკში ბელარუსის ეროვნულ გუნდს ესტუმრება. საუკეთესო მეორეადგილოსნის შანსი არ დაუკარგავთ თურქეთსა და პორტუგალიასაც, ხოლო რა შემთხვევაში გახდება ეს გუნდები საუკეთესო, ამას გუშინდელ „სარბიელში“ გაარკვევით. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ჯგუფებში მეორე ადგილზე გასულ გუნდებს, მხოლოდ პირველ, მესამე და მეოთხე საფეხურზე მყოფ გუნდებთან მონაგარი ეთვლებათ აქტივობა.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი კი, დღეისთვის ჯგუფში მეორე ადგილზე მყოფი გუნდების თანმიმდევრობას გაგაცნობთ.

ბიოგრაფიკი

Table with 2 columns: Team Name and Statistics (Goals, Assists, etc.).

ფრჩხილებში — გვუფის ნომერი

VI ჯგუფი

Table with 2 columns: Team Name and Statistics (Goals, Assists, etc.).

VII ჯგუფი

Table with 2 columns: Team Name and Statistics (Goals, Assists, etc.).

VIII ჯგუფი

Table with 2 columns: Team Name and Statistics (Goals, Assists, etc.).

IX ჯგუფი

Table with 2 columns: Team Name and Statistics (Goals, Assists, etc.).

10.10 ავსტრია — კვიპროსი; ესპანეთი — ისრაელი

9.10 აზერბაიჯანი — სლოვაკეთი; ლიხტენშტაინი — რუმინეთი; პორტუგალია — უნგრეთი

9.10 ხორვატია — იუგოსლავია; მაკედონია — ირლანდია

9.10 ჩეხეთი — ფარელები; ესტონეთი — ბოსნია; შოტლანდია — ლიტვა

შენიშვნა: მუქი ფონით — შესაძლო საუკეთესო მეორეადგილოსანთა დღევანდელი მდგომარეობა; ნეგატიური ხაზით — გუნდები, რომლებთანაც შესაძლო საუკეთესო მეორეადგილოსანებს შედეგები უუქმდებათ

დიდი ქალბატონი

ეროვნული



ნანა ალექსანდრია

გრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ერთი-ორჯერ ალექსანდრია რამდენიმე უმჯობესი შედეგზე ფრჩხილებში მითითებულ რიცხვებში ერკვევა, ადვილად დაადგენს, რომ მთელი შეხვედრის განმავლობაში თორმეტიდან მხოლოდ ერთი(!) პარტია დასრულებულა ყაიმით, ხოლო ალექსანდრია თვისებებზე მეტოქესთან სამი პარტიის მოგებაც მოუხერხებია. აქედან უკვე ჩანდა იმის ნიშნები, რომ ალექსანდრია საბრძოლველად იყო ანთებული და კიდევ ბევრჯერ შეასხენებდა თავს საჭადრაკო სამყაროს.

1981 წელს პლანეტის ქალთა საჭადრაკო გვირგვინისთვის ახალი მსოფლიოს ჩემპიონი მია ჩიბურდანიძე და ნანა ალექსანდრია დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მეორე ქართული დერბი ჭადრაკის ისტორიას პირველ ყოვლისა, ალბათ, იმით შემორჩება, რომ საყაიმო ანგარიშით დასრულებული ქალთა ერთადერთი ფინალი გახლდათ. მხოლოდ ნახევარი ქულა დააკლდა ნანა ალექსანდრიას, რომ თავისი სპორტული ცხოვრების პროგრამა-მაქსიმუმი შეესრულებინა.

ვერაფრით გამოვტოვებთ ნანა ალექსანდრიას წმინდა ქართულ შემადგენლობასთან (ნონა გაფრინდაშვილი, მია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი) ერთად საბჭოთა კავშირის სახელით საჭადრაკო ოლიმპიადების მოგებას, მრავალრიცხოვან ტურნირებზე მისგან უმაღლესი ადგილებისთვის ბრძოლას...

ამის შემდეგაც წლების განმავლობაში ქალბატონი ნანა ქალთა საჭადრაკო ელიტის უსაჩინოესი წევრი იყო. სხვათა შორის, არა მარტო ლამაზი პარტიების თამაშით დაიმსახურა მან ეს პატივი. კარგა ხანია, რაც ფიდეის ქალთა კომისიას სწორედ ჩვენი სახელოვანი თანამემამულე უდგას სათავეში და ღირსეულად უძღვება თავის საქმეს.

ნანა ალექსანდრიას მთელი სპორტული ცხოვრება მისაბამი მაგალითია ქართული ჭადრაკის მომავალი თაობისთვის, რომელსაც დღეს გააჩნია ის, რაც ესოდენ აკლდათ ჩვენი წერტილის გმირის თაობის ქართველ მოჭადრაკეებს: სამშობლოს ღრმის ღირსების დაცვის უფლება.

„სარბიელი“ უერთდება იმ მრავალრიცხოვან მძლეობებს, რომლებსაც ქალბატონი ნანა იუბილეს დღეებში უეჭველად მიიღებს როგორც თანამემამულეთა, ასევე უცხოელთაგან.

დავით ბულუა

რეჟიონალი

სამართლებელთა საუკუნის სპორტსმენები



სამი პითხვა ლაურეატს

1. დაგვისახელოთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.
2. ქართული სპორტი კრიზისშია, რაში ხედავთ გამოსავალს?
3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?

რაფაელ ჩიმიშვიანი
პალმსნობა

დაიბადა 1929 წლის 23 მარტს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ ხუთგზის ჩემპიონი (1949, 51, 54, 55, 60), ევროპის ხუთგზის ჩემპიონი (1950, 54-57) და ვიცე-ჩემპიონი (1953), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1954-55) და ორჯერ ვერცხლის მედალოსანი (1950, 53), 11 მსოფლიოს რეკორდის ავტორი, 1952 წლის პელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი



1. ყველაზე სასიხარულო 1952 წლის პელსინკის ოლიმპიური თამაშების მოგება იყო. ის სიხარული დღემდე მომყვება.

სამწუხარო? ასეთი რამ 1950 წელს შემემთხვა. მაშინ საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა. მე ქვემსუბუქ წონაში უნდა გამოვსულიყავი, მაგრამ მზატეში გამამწესეს. აქ როსტოველ უდოტოვს უნდა ეასპარეხა, მაგრამ ტრავმამ შეუშალა ხელი. ამიტომაც მწვრთნელებმა მზატე წონაში მე დამაყენეს, საამისოდ კი 7 კილო დავიკელი. საბოლოოდ მეორე ადგილი დავიკავე. გამარჯვებულს მხოლოდ იმით ჩამოერჩი, რომ მასზე 100 გრამით მძიმე აღმოვჩნდი. ასე დავკარგე ოქროს მედალი. ქვემსუბუქ წონაში რომ გამოვსულიყავი, ჩემპიონი გავხდებოდი. იმ წელს ევროპის პირველობა მოვიგე, მაგრამ იმ ოქროზე მაინც ძალიან მწყდება გული.

2. დღეს კრიზისში მხოლოდ სპორტი კი არა, მთლიანად ქვეყანაა. მე მგონი, არჩევნების მერე ქვეყანა თანდათან დალაგდება, ნელ-ნელა მოეკლება ყველაფერს, ამუშავდება მრეწველობა, მოძლიერდება ეკონომიკა და სახელწიფოც მიხედავს სპორტს, სხვა დარგებსაც. ეს კრიზისი ხომ ეკონომიკურმა გაჭირვებამ მოიტანა, გაჭირვებით კი ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას გაუჭირდა.

3. ვიქტორ სანეევი, ლევან თელიაშვილი, გივი კარტოზია ნონა გაფრინდაშვილი, ქეთევან ლოსაბერიძე, ნინო სალუქვაძე

ქართულ საჭადრაკო სამყაროში უმნიშვნელოვანესი იუბილეა: ბრძენთა თამაშის ერთ-ერთ „დიდ ქალბატონს“, ნანა ალექსანდრიას 50 წელი უსრულდება.


ნანა ალექსანდრიაზე ბევრი დაწერილა და ბევრიც დიფერება, ჭადრაკის მოყვარულები კარგად არიან ინფორმირებულნი ქართული ჭადრაკის განვითარებასა და მსოფლიო დონეზე წარმომჩენაში ამ პიროვნების წვლილის შესახებ. ამიტომ, ალბათ, გავეჭიროდებ ნანა ალექსანდრიაზე საუბრისას რაიმე ორიგინალური შეთავაზოთ მკითხველს, თუმცა, ნებისმიერი შეხსენება, რომელშიც ქალბატონ ნანაზე იქნება საუბარი, თავისთავად საინტერესოდ მიგვაჩნია. ამიტომ მკითხველთან ერთად გვიანდა თვალი გადავაკოლოთ იმ გზას, რომელიც ნანა ალექსანდრიამ საჭადრაკო სარბიელზე გაიარა.

50-იანი წლების მიწურული იყო, როცა ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას „აღმომჩენმა“ ქართველმა მწვრთნელმა, ვახტანგ ქარსელაძემ იწინასწარმეტყველა: დადგება დღე, როცა ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ეს ორი ქართველი ვოკონა ითამაშებს. შესაძლოა მაშინ ამაზე ვინ

ნემ ირონიულადაც გაიღიმა, მაგრამ ისეც კარგად ავიხედეთ ყველაფერი, როგორც ვახტანგ ქარსელაძის ვარაუდი გამართლდა.

სამწუხაროდ, თავად ვახტანგ ქარსელაძე ვერ შეესწრო ამ დიდებულ მოვლენას — 1966 წელს უკურნებელი სენით გარდაიცვალა მაშინ, როდესაც ქალთა ჭადრაკში უკვე დედოფლობდა ნონა გაფრინდაშვილი, რომლის დამარცხებაც იმ ხანად ნებისმიერი მოჭადრაკე ქალისთვის მხოლოდ ოცნება იყო. ზედზედ სამჯერ გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალში ჭეშმარიტად ძლიერი რუსი, ალა კუშნირი და სამივეჯერ, როგორც იტყვიან, ცალი ხელით დაჯაბანა გაფრინდაშვილმა.

მერე იყო ნანა ალექსანდრიასგან კუშნირის საპრეტენდენტო მონოპოლიის დამხობა და 1975 წლის ის დიდი ქართული ფინალი, ვახტანგ ქარსელაძემ რომ იწინასწარმეტყველა. გაფრინდაშვილ-ალექსანდრიას მატჩი საქართველოში, ბიჭვინთსა და თბილისში გაიმართა. იმ დროს ქალბატონი ნანა მიზეზთა გამო ვერ იყო სათანადოდ მომზადებული და მატჩის ანგარიშიც გაფრინდაშვილის აშკარა დომინირებაზე მიუთითებდა — 8,5:3,5 (+8-3=), მა-



საუკუნეში ერთხელ!

19 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება

საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, განდების, მწვრთნელების და სპორტის მოღვაწეთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

ასეთი ამავე საუკუნეში ერთხელ სდება!
19 ოქტომბერს, 17 საათზე, ფილარმონიაში!

გეძლევათ შანსი, მოხედეთ სპორტის ვარსკვლავთა საუკუნოვან ზეიმზე, დააწესოთ პრიზი და მთელი საქართველოს თვალწინ გადასცეთ თქვენს რჩეულს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 99-08-22, 99-94-09

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

საინფორმაციო მხარდაჭერა: საინფორმაციო მხარდაჭერა, საინფორმაციო მხარდაჭერა

სარბიელი, სარბიელი, სარბიელი, სარბიელი, სარბიელი

სარბიელი, სარბიელი, სარბიელი, სარბიელი, სარბიელი

სარბიელი, სარბიელი, სარბიელი, სარბიელი, სარბიელი

საქართველო

REUTERS ედინბურგიდან



А ჯგუფი
შოტლანდია 43:12 ურუგვაი


შოტლანდიელი ჯიმი მეიერის (ბურთით) შეჩერებას ურუგვაელი ფრანსისკო დეს ლოს სანტოსი ცდილობს



С ჯგუფი
საფრანგეთი 47:13 ნამიბია

ფრანგი სტეფან გლა (მარცხნივ) ნამიბიელ იენს ვან რენსბურგს გაურბის

საქართველო - შოტლანდია



1. e4 c5 2. d3 d6 3. g5+ კd7 4. კxd7+ ლxd7 5. c4 d6 6. d3 d6 7. 0-0 g6 8. d4 cxd4 9. dxd4 კg7 10. dde2 ლe6 11. d5 ლxe4 12. d7+ მგd7 13. dxa8 ლxe4 14. მბ6+ axb6 15. d3 ეa8 16. a4 d4 17. dxe4 ლxe4 18. ლb3 f5 19. კg5 ლb4 20. ლf7 კe5 21. h3 ეxa4 22. ეxa4 ლxa4 23. ლxh7 კxb2 24. ლxg6 ლxe4 25. ლf7 კd4 26. ლb3 f4 27. ლf7 კe5 28. h4 b5 29. h5 ლc4 30. ლf5+ ლe6 31. ლxe6+ მფxe6 32. g3 fxg3 33. fxg3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 d7 39. ეd1 e5 40. ეc3 მფc4 41. კxd4 exd4 42. მფg2 b2 43. მფf3 მფc3 44. h7 მგ6 45. მფe4 მფe2 46. კh1 d3 47. მფf5 h1=ლ 48. ეxb1 მფxb1 49. მფxg6 d2 50. h8=ლ d1=ლ 51. ლh7 b5 52. მფf6+ მფh2 53. ლh2+ მფa1 54. ლf4 h4 55. ლxb4

იტალია

სერია B. VII ტური
მონცა XI ბრეშა

პოლონეთი

ლიგის თასი
მეთხედფინალი. II წრე
გურნიკი X3 ოდრა

ინგლისი


პირველი ლიგის თასი
შოლსლი X0 ბირმინგემი

საფრანგეთი

მეორე ლიგის თასი
XIII ტური: ნორი — ნიმი 0:1; ლე მანი — ლავალი 0:1; კაენი — გინგამი 1:2; კანი — ამიენი 1:0; ვალანსი — ლილი 2:2; ლუანი — შატორუ 1:3; ტულუზი — აიაჩო 4:1; ვასკელი — ნიცა 2:2; კრეტეი — გენიონი 1:4


ნავიდათ, ერთად ვიცურით

მულტიმილიონერი რიჩარდ ბრენსონს ცხოვრებაში მხოლოდ მეცხრე ცა და მეცხრე ტალღა აინტერესებს. ნარმატებულ ბიზნესმენსა და „ვირჯინ ეარლაინსის“ თავკაცს რამდენიმე თვის წინ მსოფლიოს გარშემო საჰაერო ბურთით მიწაზე დაუშვებლად მოგზაურობაში ხელი მოეცარა, ახლა კი ახალ რისკიან ექსპედიციაში მონაწილეობს. სახელგანთქმულ ზღვაოსან სტივ ფოსეტთან ერთად (ზედა ფოტოზე) კატამარან „ფლეისთეიშანზე“ იგი ატლანტიკის ოკეანის სარეკორდო დროში გადაცურვას აპირებს. ამ დღეებში მათ ფილადელფიიდან ნიუ იორკამდე საცდელად გაცურეს. ოკეანეს და რეკორდს კი (ექვსი დღე, 13 საათი, 3 წუთი) ოქტომბრის ბოლოს შეუტევენ.



დევიდის სრა-სასახლე

მოდო და ნუ შეგზურდება „მანჩესტერ იუნაიტედის“ ანხლი ვარსკვლავის — დევიდ ბექჰემის ბედი. ინგლისელი ნახევარმცველი ფეხბურთში ლამის ყველა ჯილდოს პატრონია, მუდღეულ „სფაის გელზის“ ულამაზესი ნეერი ვიქტორია ადამსი ჰყავს, ცხოვრებით კი აი, ამ ფოტოზე აღბეჭდილ სასახლეში ცხოვრობს. ერთი ეგ არის, ინგლისის ახლად დაწყებული ჩემპიონატის გამო, ბექჰემი ვიქტორიას და მათ 5 თვის ქალიშვილს ძველებურად დიდ დროს ველარ უთმობს ვარსკვლავ-მეუღლეს ღვიძლ დასთან — ლუიზასთან ერთად დაიარება საყიდლებზე.



ჯეი ლენოსთან

ამერიკის მეგობრობა ნაგრებმა ამასწინათ ვერობის ნაგრებს რაიდერის თასი წაართვა და მოელმა ოკეანისგაღმა ქვეყანამაც დიდად გაიხარა. განთქმულ ყბაჩა „შოუმენს“ თავის „ამ საღამოს შოუში“ მიუწვევია გამარჯვებულთა კაბიტანი ბენ კრენშოუ და მის ნაჩუქარ ყვანჯოსნურ მაისურასაც კმაყოფილებით ათვალიერებს.



სარბიელი
საორტული გაზეთი
გამოიცვამ 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის საგზაბათს,
ოთხგზაბათს, ხუთგზაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოცხვერია
დირექტორი გიორგი მარგალიტი
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბუჩქაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კორტოპიძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაყიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზურა სანიკიძე

უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, ვიქტორ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიორგი ბიკაშვილი, გიორგი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე; ფოტორეპორტიორები გურამ დოღონაშვილი, ბადრი კეთილაძე; სტილისტები მაია აბოშიანიძე, ნათელა გორგობიანი, ლალი გოზალიშვილი; კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე; მკვლელობის ცენტრი ელენე გელუტაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კვდელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@iberiapac.ge
ელექტრონული ვებ-საიტი
http://www.opentext.org.ge/sarbieri